603 N 10477

ქეთევან არახამია ჩემპიონია!

პოდოლსკი. ეს ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო. საქართველოს საჭადრაკის მოყვარულნი სხვაგვარ შედეგს, დარწმუნებულნი ვართ, არც მოელოდნენ. ქვეყნის ჩემპიონი ქალთა შორის გახდა საერთაშორისო დიდოსტატი — თბილისელი ქეთევან არახამია, რომელმაც 17 შესაძლებლიდან 13 ქულა დააგროვა (ბოლო შეხვედრა ფურინასთან ფრედ დაამთავრა).

რატომ ვიყავით აგრერიგად დარწმუნებულნი ჩვენი თანამემამულის წარმატებაში? — იმიტომ, რომ არახამია ქართული საჭადრაკო სკოლის უმდიდრესი ტრადიციების ერთ-ერთი ღირსეული გამგრძელებელია და, ამდენად, გზიდან გადახვევის უფლება არ ჰქონდა. — კიდევ იმიტომ, რომ არახამია ჩემპიონატის სხვა ჩვიდმეტ მონაწილეს შორის უძლიერესია, რასაც, სხვათა შორის, მისი რეიტინგი (2395 ქულა) და ჩატარებულ შეხვედრათა ხარისხი ადასტურებს.

ჩვიდმეტტურიან უმძიმეს მარათონში ქართველმა დიდოსტატმა მხოლოდ ორი შეხვედრა წააგო, ოთხი ფრედ დაამთავრა და თერთმეტი მოიგო. დაგვეთანხმებით ალბათ, ჩემპიონის საკადრისი შედეგია. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე მარცხი მან პირველ სამ ტურში განიცადა, მეოთხე ტურიდან კი მიზანდასახულად მიიწევდა წინ ჩემპიონატის მთავარი ჯილდოსკენ.

ქეთევან არახამია საბჭოთა კავშირის 1990 წლის ჩემპიონია. ამ წარმატებამ მას მოუტანა სანუკვარი ოქროს მედალი და ადგილი ოლიმპიურ ნაკრებში (საჭადრაკო ოლიმპიადა, როგორც ცნობილია, გაიმართება ნოემბერს იუგოსლავიაში).

იმისათვის, რომ უფრო ნათლად აღვადგინოთ ჩემპიონის მიერ განვლილი გზა, გადავხედოთ მის შედეგებს ტურების მიხედვით. I ტური. ტაჯიევასთან — 1:0, II ტური. ჯანჯღავასთან 0:1, III ტური. მატვეევასთან — 0:1, IV ტური. ციგანოვასთან — 1:0, V ტური. სემონოვასთან — 1:0, VI ტური. უმანსკაიასთან — 1:0, VII ტური. ჩიოლუშკინასთან — 1:0, VIII ტური. დიომინასთან — ყაიმი, IX ტური. ბორსუკთან — 1:0, X ტური. სტეპოვაიასთან — 1:0, XI ტური. პოპოვასთან — 1:0, XII ტური. ბორულიასთან — 1:0, XIII ტური. პრუდკოვასთან— 1:0, XIV ტური. პრუდნიკოვასთან — 1:0, XV ტური. შუშიაკინასთან — ყაიმი, XVI ტური. ერნესტესთან — ყაიმი, XVII ტური. ფურინასთან — ყაიმი.

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

1 ᲗᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1990 Წ. № 105 (10 334) ● ᲤᲐᲡᲘ 6 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲑᲔᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲑᲣᲨᲘᲜ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა კოლექტივის ხაერო კრება, რომელზეც განიხილეს გუნდში შექმნილი რთული სიტუაციების საკითხი.

21 აგვისტოს, ამავე ბაზაზე შედგა თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელებისა და მწვრთნელების შეხვედრა ჟურნალისტებთან, გაიმართა უკომპრომისო პოლემიკა, გამოითქვა სადაო მოსაზრებანი.

გუშინ გამართულ კრებაზე ითქვა: თბილისის „იბერიის“ ითითოეული ფეხბურთელი და ხელმძღვანელი კატეგორიულად აცხადებს, რომ არცერთი მათგანი არასოდეს არ იყო საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატიდან გასვლის მომხრე და თუ ადრე გამოითქვა რამდენიმე მკვეთრი მოსაზრება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნაკარნახევი იყო საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ხარისხის გაუმჯობესებისა და ზოგიერთი ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით.

თბილისის „იბერიაში“ მზადდება მასალები იმის თაობაზე, თუ როგორია კლუბის მიზნები და ამოცანები, რა ზომებს მიმართავენ შექმნილი რთული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲕᲣᲓᲒᲔᲗ

ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ იწერება „იბერიის“ მატჩებზე მაყურებელთა რიცხვის დაცემის შესახებ. მივიტანეთ რა გუნდთან ახლოს ჩვენი საყვარელი გუნდის გასაჭირი, საქართველოს მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ფედერაციამ იმსჯელა „იბერიისადმი“ დახმარების გაწევის თაობაზე. ფედერაციაში შემავალი პროფორგანიზაციების თავმჯდომარეებთან ერთად ვალდებულებას ვიღებთ თბილისში გამართულ იბერიელთა ყველა თამაშს დაესწროს დარგის არანაკლებ 1000 გულშემატკივრისა. ამასთანავე მოვუწოდებთ სხვებსაც მხარი აგვიბან პატრიოტულ საქმეში.

Ა. ᲙᲝᲠᲚᲐᲢᲐᲫᲔ,
საქართველოს მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ფედერაციის თავმჯდომარე.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ლეილა მესხი აშშ-ის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მესამე წრეში გავიდა, თანაც დაამარცხა სსრ კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელი, „მსოფლიოს ათეულის“ წევრი ნატალია ზვერევა. ორეული წლის წინ ეს გამარჯვება სენსაცია იქნებოდა, მაგრამ ახლა მესხის წარმატება უკვე აღარავის აკვირვებს. ქართველმა ჩოგბურთელმა მიმდინარე სეზონში მსოფლიოს ყველა უძლიერეს ჩოგბურთელთან მოსინჯა ძალა (შტეფი გრაფი, მარტინა ნავრატილოვა, მონიკა სელესი), თამაშის საკმაოდ მაღალი კლასი აჩვენა, ათეულის რამდენიმე წევრი კი დაამარცხა კიდეც.

როგორ წარიმართა შეხვედრა მესხსა და ზვერევას შორის? — პირველ პარტიაში ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო, თუმცა ერთგვარ უპირატესობას მაინც ქართველი ჩოგბურთელი ფლობდა, რომელმაც უკეთ ჩაატარა პარტიის დასკვნითი ნაწილი და გაიმარჯვა — 6:4. მეორე პარტიაში კი მესხის უპირატესობა უდავო გახდა, რაც, რა თქმა უნდა, ყველაზე კარგად ანგარიშში აისახა — 6:0.

ამ შეხვედრას მოკლე კომენტარი გაუკეთა დამარცხებულის მამამ და მწვრთნელმა მარატ ზვერევამ. მან აღნიშნა, რომ მესხის გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო, ვინაიდან ნატალია ბოლო დროს გადაღლილი ჩანს და მისთვის ჩვეული ოსტატობით ვეღარ თამაშობსო. ასეა თუ ისე, ქართველმა ჩოგბურთელმა საგულისხმო წარმატებას მიაღწია და პრესტიჟული ტურნირის მესამე წრეში გავიდა.

მსოფლიოს პირველ ნომერ ჩოგანთან, შვედ სტეფან ედბერგთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ ალექსანდრე ვოლკოვი მეორე წრეში დამარცხდა ნაკლებად ცნობილ ამერიკელ ტოდ უიტსკენთან (2:6, 2:6, 3:6) და გამოეთიშა გათამაშებას. საბჭოთა გუნდმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა: ნატალია მედვედიევა დამარცხდა ჰოლი ჩოფისთან (აშშ) — 5:7, 2:6.

ქალთა ტურნირის მეორე წრის სხვა შეხვედრები: ლ. სავჩენკო — კ. კანინგჰემი (აშშ) 6:4, 6:4, მ. ნავრატილოვა (აშშ)—კ. ვუდი (ინგლისი) 6:0, 6:4, გ. საბატინი (არგენტინა) — ი. დემონჟო (საფრანგეთი) 6:1, 6:1. ვაეები: ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — მ. შტიხი (გფრ) 6:4, 5:7, 6:3, 6:3, თ. მუსტერი (ავსტრია) — ა. იირიდი (შვეცია) 6:4, 6:3, 4:6, 6:1, ა. ჩესნოკოვი — ს. მაცუოკი (იაპონია) 6:7, 6:3, 6:1, 6:3, გ. ივანიშევიჩი (იუგოსლავია) — ო. კომპორეზე (იტალია) 1:6, 6:4, 6:1, 7:6.

ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲜᲩᲘ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ

„ᲩᲕᲔᲜ იმედს გამოვთქვამთ, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები თვითონ მოაგვარებენ საკუთარ პოლიტიკურ პრობლემებს. აი, მაშინ გადაწყდება ოლიმპიური პრობლემებიც“, — განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ლოზანაში, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დელეგაციებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ.

მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვიც, სამარანჩის გამოთქმით, „მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა და იყო პოზიტიური“

„სპორტსმენები არ უნდა გახდნენ ცვლილებების მსხვერპლნი. ჩვენი ეს პოზიცია განვუმარტეთ თანამოსაუბრეებს, რომელთა შორის იყო ცნობილი კალათბურთელი არვიდას საბონისიც“ — გაუსვა ხაზი სამარანჩმა. მან აღნიშნა ისიც, რომ მოლაპარაკების დროს არ წამოჭრილა საკითხი „1992 წლისათვის ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოლიმპიური სტატუსის შეცვლის თაობაზე“.

სამარანჩმა თქვა, რომ სოკ-ი ამჟამად განიხილავს თამაშების მონაწილეთა და პროგრამის შემცირების საკითხებს. შესამცირებელ სახეობათა შორის ასახელებენ თანამედროვე ხუთჭიდს, სინქრონულ ცურვას, მხატვრულ ტანვარჯიშს, აგრეთვე, გუნდურ შეჯიბრებებს ფარიკაობასა და ტანვარჯიშში. არ არის გამორიცხული, რომ მათი ადგილი დაიკავოს მსოფლიოში გავრცელებულმა სპორტის სახეობებმა — გოლფმა, სოფტბოლმა და ტრიატლონმა. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით ვარაუდია.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲡᲐᲚᲘᲢᲘ. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის პირველი ოქროს ჯილდო საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ტურნირის მეოთხე დღეს მოიპოვეს. ეს მოხდა ჰოკეის ხტომაში ტაშკენტელი როდიონ გატაულინის გამარჯვების შემდეგ — 585 სმ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო რეკორდსმენი სერგეი ბუბკა ამჯერად მეექვსე იყო (570 სმ).

შეჯიბრების მეოთხე დღეს ჩემპიონები გახდნენ — ვაეებში: 200 მ. რბენა — ჯონ რეჯისი (დიდი ბრიტანეთი) — 20,11; 400 მ. რბენა — როჯერ ბლეკი (დიდი ბრიტანეთი) — 45,08, 3000 მ. დაბრკოლებებით — ფრანჩესკო პანეტა (იტალია) — 8.12,16; სიგრძეზე ხტომა — დიტმარ ჰაფი (გფრ) — 825 სმ.

ქალები: 200 მ. რბენა — კატრინ რაადი (გდრ) — 21,95; 100 მ. თარჯრბენი — მონიკ ევანჟ-ეპი (საფრანგეთი) — 12,79; შუბი — პაივი ალაფრანტი (ფინეთი) — 67,68 მ.

გუშინ ევროპის ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების კიდევ რამდენიმე კომპლექტი. 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა კოლინ ჯექსონმა (დიდი ბრიტანეთი) — 13,18, შვიდჭიდში უძლიერესი იყო სამნეგბრაუნი, სიმაღლეზე ხტომაში — მისი თანამემამულე ჰაიკე ჰენკელი.

3. ᲚᲝᲑᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ

ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ამ ცნობას სენსაციური შეიძლება ეწოდოს: მასში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი არაბეთის გაერთიანებული საემიროების მიწვევით გაემგზავრა ამ ქვეყანას და იქაური ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტი დაიკავა.

როგორც არაბეთის გაერთიანებული საემიროების ჭალაქ დუბაიდან იუწყებიან, 3, ლობანოვსკი აქ 30 აგვისტოს ჩამოფრინდა და არაბეთის გაერთიანებული საემიროების მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა, რომელიც ბოლო სამი თვე ხელმძღვანელობდა ნაკრებს და იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზეც გამოიყვანა იგი.

ვ. ლობანოვსკის კონტრაქტი ორი წლითაა გათვალისწინებული. იგი ძალაში 1 ოქტომბრიდან შევა, ხელშეკრულების დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არაა.

საინტერესოა კიევის „დინამოს“ შემდგომი ბედი: კლუბმა თავისი საუკეთესო ფეხბურთელები გაყიდა, ახლა მთავარმა მწვრთნელმაც თავს უშველა! რა პერსპექტივები ელის კიევის დინამოელთა სახელმოხვეჭილ კოლექტივს?

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐᲗ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ: გ. ტეტელოშვილს, ე. სიოპლიასოვს, მ. როგავას, ბ. მინდელს, ვ. მეიფარიანს, ი. კენჭაძეს, მ. შენგელიას, კ. თორდიას, გ. დემეტრაშვილს, დ. გიორგაძეს (ყველა — „შევარდენი“).

პირველი გამარჯვების ხიბლი...

— გაიგე ჩვენი ამბავი? — რეკავს რედაქციაში ალეკო მამალაძე, სრულიად საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, ჩვენმა ბიჭებმა მოსკოვში გამართულ მკლავჭიდელთა პირველ საერთაშორისო ტურნირში „მოსკოვური დათვები“ გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

სხვისი არ ვიცი, ჩემთვის კი ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი ჩვენი ინვალიდების გამარჯვება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ფედერაცია სულ რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა, და, ისე საქმისთვის არ მოუკიდია ხელი, წარმატებით რომ არ დაესრულებინოს. ჯერ იყო და, ამ ზაფხულს, ივნისში, ორ კვირაში გადალახა ყველა ბარიერი, მოაგვარა სხვადასხვა პრობლემა და სხვადასხვა უწყებების დახმარებით და ხელშეწყობით დიდი შეჯიბრება მოაწყო ინვალიდ მკლავჭიდელთა შორის. აი, რატომ ჩქარობდნენ ისინი! სწორედ „მოსკოვური დათვების“ ტურნირის საგზურის მფლობელნი უნდა გამოევლინა რესპუბლიკურ ჩემპიონატს.

ტყუილად არ გარჯილან — საქართველოს წარმომადგენლებმა არც ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში შეირცხვინეს თავი... ისე ვეუკაცურად იასპარეზეს, ისე დაამახსოვრეს ყველას თავი, იმდენი თაყვანისმცემელი გაიჩინეს, რომ... თუმცა ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ვინც საკავშირო ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით ადევნებდა თვალყურს მკლავჭიდელთა ამ შეჯიბრებას, ეცოდინება, თუ რა ძლიერ გუნდებს მოუყარა თავი „მოსკოვურმა დათვებმა“. რად ღირს მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ათლეტთა დასახელება, რომელთა შორის სამი მსოფლიო ჩემპიონი გამოდიოდა და მათგან ერთი ამ ტიტულის მრავალგზის მფლობელიც გახლდათ. კანადის, გფრ-ის, ესპანეთის, ბულგარეთის, მოსკოვისა და საქართველოს ნაკრებებს თითქოს იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ ასეთ ტიტულოვან გუნდთან ჭიდილში, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: საქართველოს ნაკრებმა გუნდური ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო მისი სამივე წევრი საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

ნოდარ რეხვიაშვილი — II ჯგუფის ინვალიდი (58 კგ). IV ადგილი. სამწუხაროდ, შეჯიბრება მხოლოდ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა და ნოდარს ხშირად უხდებოდა მძიმეწონოსან მეტოქეებთან შეხვედრა, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდი უპირატესობით დაამარცხა ასკოლოგრამიანი მოსკოვის ჩემპიონი და ამ გამარჯვების შემდეგ გულშემატკივართა კერპად იქცა.

გია მამაცოვი — I ჯგუფის ინვალიდი (60 კგ). V ადგილი. მასაც რამდენჯერმე მოუხდა მძიმეწონოსანი მეტოქის დამარცხება.

ლევან ყამიაშვილი — II ჯგუფის ინვალიდი (92 კგ). II ადგილი.

ლევანს მცირე უპირატესობით მოუგო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, 130 კილოგრამიანმა ამერიკელმა ინვალიდმა. მანამდე ჩვენი მკლავჭიდელი მოსკოვის ნაკრების ერთსა და იმავე წარმომადგენელს ორჯერ შეახვედრეს, ეგონათ, იგი ლევანს ადვილად დაამარცხებდა, ამერიკელთან შერკინებამ კი მოსკოველს არც ერთხელ არ მოუწია.

შემდეგ უკვე „კომსომოლსკაია პრავდა“ ყამიაშვილის გვარს თვით მსოფლიო ჩემპიონების გვერდით მოიხსენიებდა და აღნიშნავდა, რომ, მართალია, იგი არ ფლობს მსოფლიო ჩემპიონის მაღალ ტიტულს, მაგრამ მისნაირი ძალით ბევრი ვერ დაიკვეხნისო.

პირველად ყველაფერი ძნელია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოველივე პირველს თავისებური ხიბლი აქვს. ამიტომ არის ჩვენი ბიჭებისთვის ეს წარმატება ასე საამაყო, ამიტომ აფასებენ ისინი მოვლენებს სულ სხვა თვალით, სულ სხვა კუთხით. ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც მსოფლიოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტთან ბილ სოუბრანსთან საუბარს თვლიან. პრეზიდენტი დაჰპირდა ჩვენს ბიჭებს, ცალკე გუნდად მიგიწვევთ მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ოქტომბერში გაიმართებაო; ისაუბრეს საქართველოს ინვალიდ მკლავჭიდელთა მსოფლიო ფედერაციაში გაწევრიანების პერსპექტივებზეც.

— ერთმა ფაქტმა კი გული გვატკინა — მიამბობს ალეკო — აქედან ჩვენი სამფეროვანი დროშა ჩავიტანეთ, მაგრამ დაიგვიანეთო, გვითხრეს და აღარ გამოგვიფინეს; ამიტომ, როდესაც ჩვენებს აჯილდოვებდნენ, ჩვენ ქართული ეროვნული დროშებს ვაფრიალებდით. თავად სპორტსმენებს კი მკერდზე ჰქონდათ აფარებული დროშა. ჩვენ დროშა-გამოსახული ხელოვნური ხელები დავურიგეთ ტურნირის მონაწილეებს და ყველა ამ ნიშნით დადიოდა.

მოსკოვში ყოველი გუნდი თავის მსაჯით იყო ჩასული. გამონაკლისი აქაც საქართველოს ნაკრები აღმოჩნდა. მოწვევაში მსაჯი არ ეწერა, თუმცა ბიჭებმა მოიფიქრეს და თან წაიყვანეს საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის უფროსი მსაჯი ირაკლი შაშმელაშვილი, მაგრამ ფორმის არქონა დაუსახელეს მიზეზად და შეჯიბრებაზე არ დაუშვეს.

უკვე კარგა ხანია ვსაუბრობთ. ალეკო გახარებულია:

— ყველამ შეგვიყვარა, დაგვპირდნენ კიდეც — პირველივე ტურნირზე, რომელიც მათ ქვეყანაში ჩატარდება, ცალკე გუნდად მიგვწვევენ. მთავარია, გზა გაიჭრა, მსოფლიოს უძლიერესმა მკლავჭიდელებმა დაგვინახეს და შეგვფასეს. წარმატებების იმედი კვლავაც გვაქვს. ტურნირი იმდენად მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, წვრილმანებისთვის ყურადღება აღარ მიგვიქცევია.

...პირველი სიტყვა უკვე ითქვა, დაპირებებიც საამედია, რა იქნება შემდეგ?

ინგა ჩახვაშვილი

თავისას არ კი იშლიდნენ, მაგრამ...

ისევ ძალა და ისევ ალმართი

6-8 სექტემბერს ტოკიოში ჩატარდება თავისუფალი ხტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. დაკომპლექტდა ხაბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ: 48 კგ — ნ. მამიშევი (რუსეთის ფედერაცია), 52 კგ — ა. აგაევი (აზერბაიჯანი), 57 კგ — ხ. სმალი (ბელორუსია), 62 კგ — მ. რაშიდოვი, 68 კგ — ა. ფაძაევი, 74 კგ — ნ. გაჯიხანოვი (ყველა — რუსეთის ფედერაცია), 82 კგ — ა. გოგოლიშვილი (საქართველო), 90 კგ — მ. ხადარცევი (რუსეთის ფედერაცია), 100 კგ — ლ. ხაბელოვი და 130 კგ — დ. გოგიჯიშვილი (ორივე — საქართველო).

კარგა ხანია, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოდან სამი მოჭიდავე არ შეუყვანიათ. ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრა ბოლო დროს რაღაც გარკვეული სისტემით ხდება, რომელშიც ძნელად თუ გაერკვევა კაცი. არადა, იყო დრო, როცა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებში მოჭიდავეები მხოლოდ და მხოლოდ სპორტული პრინციპით შეჰყავდათ. იყავი სხვებზე უფრო ძლიერი? გარანტირებული გქონდა ადგილი ნაკრებში. სხვათა შორის, ამ მხრივ, სამაგალითო იყო 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ტოკიოში ჩატარდა და რომელშიც პირველად მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა ათლეტებმა. ქვეყნის ნაკრებ გუნდში მაშინ მოხვდა ექვსი წარმომადგენელი საქართველოდან და მხოლოდ ერთი ასე ვთქვათ, უცხო — ესტონელი მოჭიდავე ა. ენგლასი (გუნდის შემადგენლობა იმ პერიოდში შვიდი მოჭიდავით განისაზღვრებოდა). 1954 წლის ქვეყნის ნაკრების ღირსების წონითი კატეგორიების მიხედვით იცავდნენ: მირიან ცალკალამანიძე, ვარლამ გიგიაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ავგუსტ ენგლასი და აოსენ მეკოკაშვილი. რას ნიშნავდა ეს? — მხოლოდ იმას, რომ მაშინ ჩვენი მოჭიდავეების ავტორიტეტი განუზომლად დიდი იყო და მათ რამდენადმე სერიოზულ კონკურენციას ვერავინ უწევდა.

დროთა განმავლობაში, მოგეხსენებათ, ყველაფერი იცვლება. შეიცვალა ნაკრების წევრთა შერჩევის პრინციპიც. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამოჩნდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული მოჭიდავეებიც. ასეთ პირობებში, უკვე ბევრს ნიშნავდა ნაკრების უფროსი მწვრთნელის (ან მწვრთნელთა საბჭოს) პირადი სიმპათია თუ ანტიპათია. ნაკრებში, სავსებით გასაგები მიზეზებით, იმძლავრეს რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებმა და ნელ-ნელა ყველა „საკვეხოო პუნქტი“ მაო დაიკავეს. ბოლო ათწლეულში საქართველო ნაკრებში, უმთავრესად, ორი მოჭიდავით იყო წარმოდგენილი (ლერი ხაბელოვით და დავით გობეჯიშვილით) და ისიც ალბათ იმიტომ, რომ მათი შემცვლელები ჯერჯერობით არ ჩანდნენ.

ასე მოატანა 1990-მა წელმა. წლევანდელ სეზონში თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ორი ურთულესი გამოცდა ჰქონდათ ჩასაბარებელი: ერთ-ერთი მათგანი გახლდათ კეთილი ნების თამაშები, მეორე კი მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სულ მალე იაპონიის დედაქალაქში ჩატარდება. ყველა სხვა ასპარეზობა განიხილებოდა, როგორც ამ ტურნირებისადმი მზადების ცალკეული ეტაპი.

ახლა დროებით გადავუხვიოთ თემას და შევეცადოთ უფრო ღრმად ჩავწვდეთ ნაკრები გუნდის დაკომპლექტების სამზარეულოს, სადაც არც ისე მცირე როლი აქვს განკუთვნილი წარსულში ცნობილ მოჭიდავეს, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ალექსანდრე მედვედს. ამ მოჭიდავის ავტორიტეტზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია, მის სიტყვას ყველგან და ყოველთვის კანონის ძალა ჰქონდა, მაგრამ ერთხანს მედვედი ისე აქტიურად არ ერეოდა საბჭოთა მოჭიდავეების საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ახლა, როცა დიდ სარბიელზე გამოყოფილ მისი ვაჟიშვილი — ალექსანდრე მედვედი უმცროსი.

ამბობენ — კვიცი გვარზე ხტისო. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ უმცროსი მედვედი თავისი სახელოვანი მამის გზას გაჰყვა. ხბორტში უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა შვილი მამის პროფესიას ირჩევს. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ მემკვიდრე უეკვლად თავის წინამორბედზე უფრო ძლიერი იყოს. უფროსმა მედვედმა ჰიდაობაში მთელი ეპოქა შექმნა, შვილი კი მის უსუსურ გამეორებას წარმოადგენს. ამ ჰიპმარიტების გააზრება ვერაფრით ვერ შეძლო მამამ, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს თავისი პირმშოს რენომეს დამკვიდრებას წყალწყალა ნიადაგზე.

მედვედს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელზე — ივან იარიგინზე და, ცხადია, ყოველმხრივ ცდილობს თავისი ვაჟიშვილის „გათრევას“ გუნდში პირველ ნომრად. მაგრამ არსებობს გარკვეული რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ მოჭიდავის მოხვედრის აუცილებლობას მთავარ გუნდში. კეთილი ნების თამაშების წინ ასეთი ფუნქცია დაეკისრა საკავშირო ჩემპიონატს.

საკავშირო ჩემპიონატზე ოქროს მედლის პრეტენდენტები იყვნენ დავით გობეჯიშვილი, ზაზა თურმანიძე და ალექსანდრე მედვედი უმცროსი. მოხდა მოულოდნელი რამ და მედვედმა ერთი ქულით აჯობა გობეჯიშვილს. მაგრამ ჩემპიონი იგი მაინც ვერ გახდა. ფინალში მედვედი საკმაოდ ადვილად დაამარცხა თურმანიძემ და პირველი ადგილიც დაიკავა.



გობეჯიშვილის მარცხი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სიეტლში გამგზავრების კანდიდატად უმცროსი მედვედი წამოჭიმულიყო. მაგრამ ამით ლოგიკა ირღვეოდა, ვინაიდან ჩემპიონი თურმანიძე იყო. მწვრთნელთა საბჭომ მედვედის კანდიდატურა უარყო, როგორც უკანონო, და ნაკრებში პირველ ნომრად ზაზა თურმანიძე დაასახელა. მაგრამ ამ უკანასკნელმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მისი გამგზავრება სიეტლში საეჭვო გახდა.

ობიექტურად, კეთილი ნების თამაშებზე გობეჯიშვილი უნდა გამგზავრებულიყო, ვინაიდან ამერიკელი ბრიუს ბაუმჰარტნერის დამარცხება მხოლოდ მას თუ შეეძლო. ამას ყველა გრძნობდა. სხვათა შორის, ოპოზიცია ამჯერად დათმობაზე წავიდა, ოღონდ გარკვეული მოსაზრებების გამო. არ იყო გამორიცხული, რომ კეთილი ნების თამაშებს ამერიკელი მოჭიდავე მოიგებდა. და აი მაშინ... უმცროსი მედვედის მთავარი კონკურენტი ვეღარასოდეს იხილავდა ნაკრებს.

რაც მოხდა სიეტლში, ყველას კარგად გვახსოვს. დავით გობეჯიშვილმა ბრწყინვალე სტილში დაამარცხა მეტოქე და ამით მის წინაღმდეგ მიმართული ყველა ეჭვი გაფანტა. სიეტლიდან რომ ბრუნდებოდნენ, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ქართველ მოჭიდავეს მორიდებით გაანდო: არ უნდა გეწყინოს, თუ მსოფლიო ჩემპიონატზე მედვედს დავაყენებთო. ასეთ მოულოდნელ განცხადებას რაღაც გამართლება მაინც უნდა ჰქონოდა და იარიგინმაც მონახა იგი: შენ მართალიხარ, ოღონდ ეს ერთი სიტყვით, ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ საჭირო გახდა „ხელჩართული ბრძოლა“ იმ ერთადერთი და კანონიერი უფლებისთვის, რომელიც დავით გობეჯიშვილმა სიეტლის ხალიჩაზე ბრწყინვალე გამოსვლით მოიპოვა. ამ ბრძოლაში ყველა თანაბრად ჩაება — სპორტის ხელმძღვანელობაც და ჰიდაობის სამყაროც. არადა, მოთხოვნა იყო სავსებით ლოგიკური: თუ კიდევ ვიხმეს ეპარება ეჭვი გობეჯიშვილის კანდიდატურაში, მოეწყოს საკონტროლო შეხვედრა პრეტენდენტთა შორის და ვინ უფრო ძლიერია, პატიოსანმა ბრძოლამ განსაჯოს.

სწორედ ამ მიზნით ჩავიდა კისლოვოდსკს (სადაც ნაკრები გადიოდა წვრთნას მსოფლიო ჩემპიონატის წინ) საკავშირო სპორტსაბჭომის თავმჯდომარის მოადგილე, წარსულში ცნობილი მოჭიდავე ანატოლი კოლესოვი. იგი პირადად უნდა გარკვეულიყო კონფლიქტურ სიტუაციაში. არადა, ნაკრების მწვრთნელთა უმრავლესობა (ანატოლი ბელოგლაზოვი, დიმიტრი მინდიაშვილი, ბორის კარგინოვი, ვალერი იუშკო, ბორის გაზაევი, კაზბეკ დედეკაევი და, რა თქმა უნდა, ვლადიმერ მესტვირიშვილი) გობეჯიშვილის კანდიდატურას უპერდა მხარს. საკონტროლო შეხვედრებმა ჩვენი პოზიცია კიდევ უფრო გაიღრმავა: გობეჯიშვილმა დაამარცხა ჯერ მედვედი (6:0), მერე კრასნოიარსკელი შუმილინი (6:0) და ბოლოს ლენინგრადელი ნანიეკი (5:0). მედვედი კი შუმილინთანაც დამარცხდა (1:4) და ეილოვთანაც, ფაქტობრივად, აგებდა მთელ შეხვედრას. თურმანიძე კი საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონი საკონტროლო ბრძოლებში საერთოდ არ დაუშვეს.

ნაეშვო და საკამათო ამის შემდეგ თითქოს არაფერი იყო, მაგრამ უფროსმა მედვედმა მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე მაინც გაიბრძოლა. მისი აზრით, საკონტროლო შეხვედრების ჩატარება ზედმეტი ფორმალობა იყო, ვინაიდან საკავშირო ჩემპიონატზე მედვედმა დაამარცხა გობეჯიშვილი. მაგრამ უფროს მედვედს მხედველობიდან გამორჩა, რომ იმავე საკავშირო ჩემპიონატზე მის ვაჟიშვილს ზაზა თურმანიძემ აჯობა, რომელიც საბოლოოდ ჩემპიონი გახდა. ან მხედველობიდან გამორჩა, ან ამის გახსენება არ მოისურვა. სხვათა შორის, იარიგინიც დარწმუნდა ბოლოს და ბოლოს, რომ დიდ შეცდომას უშვებდა. შესაძლოა, ადრეც იყო დარწმუნებული ამაში, მაგრამ, როცა ფაქტის წინ დადგა, იძულებული გახდა კიდეც ელიარებინა: გუშინ საღამომდე მეგონა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მედვედი უნდა წასულიყო, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ვცდებოდიო. ეს ერთი შეცდომაც შეეუნდოთ მწვრთნელს.



ანონსი: „ლელო“ განაგრძობს მსჯელობას პრობლემურ თემაზე — „დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!“ ახალ მასალებს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში გაეცნობით.

ფეხბურთის ახალი წესები

ხულ ახლახან, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შეიმუშავა თამაშის რამდენიმე ახალი წესი, უფრო სწორად, კორექტივები შეიტანა ადრინდელ წესებში, დააკონკრეტა ზოგიერთი მათგანი და, ამიერიდან, კანონადაც აქცია. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეს ახალი წესები მთელს მსოფლიოში ძალაში შევიდა 25 ივლისიდან, თუმცა საბჭოთა კავშირში ისინი დაკანონდა მხოლოდ 10 აგვისტოდან.

გამოვიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ცირკულარული წერილი წესების თაობაზე გენერალური მდივნის ი. ბლატერის ხელმოწერით, ამ პუნქტებს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

ფიფა
ცირკულარული წერილი №438
ფიფაში შემავალ ეროვნულ ასოციაციებს
ციურიხი. 6 ივნისი. 1990 წელი

ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო საბჭომ თავის სხდომაზე რომში, 1990 წლის 28 ივნისს, რამდენიმე შესწორება შეიტანა თამაშის წესებში, გარდა ამისა, მან სახელმძღვანელოდ შეიმუშავა ზოგიერთი ინსტრუქცია მსაჯებისთვის. ამ სხდომაზე მიღებული ყველა დადგენილება კავშირის წესდების შესაბამისად, ძალაში შედის 1990 წლის 25 ივლისიდან.

— ეს ცვლილებები ეხება შემდეგ პუნქტებს:

IV წესი — მოთამაშეთა ჩაცმულობა.

1. ა) მოთამაშის ძირითად სავალდებულო ჩაცმულობას შეადგენს: საფეხბურთო მაისური ან კვართი, ტრუსები, გეტრები, წვივსაფრები და ფეხსაცმელი.

ბ) მოთამაშეს უფლება არა აქვს ატაროს ან ეკეთოს რაიმე ისეთი სგანი ან ნივთი, რომელიც ხიფათს უქმნის სხვა მოთამაშეებს.

2. წვივსაფრები, რომლებსაც მთლიანად უნდა ფარავდეს გეტრები, მზადდება შესაფერისი მასალისგან (რეზინი, პლასტმასი, პოლიურეტანი და ა. შ.). მათ უნდა უზრუნველყონ მოთამაშეთა უსაფრთხოება მოსალოდნელი დარტყმებისგან.

მე-4 წესის მითითება:

1. ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩებში და ტურნირებში, სხვადასხვა ქვეყნის კლუბების შეხვედრებში, მსაჯმა თამაშის დაწყებამდე უნდა შეამოწმოს მოთამაშეთა ჩაცმულობა და მანამდე არ დაუშვას მინდორზე ისინი, ვისი ეკიპირებაც არ შეესაბამება მე-4 წესს, სანამ მოთამაშეები არ მოიწესრიგებენ თავიანთ ჩაცმულობას.

ანალოგიური პუნქტის ჩართვა შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო შეჯიბრებათა კალენდრის დებულებებში.

2. XI წესი — „თამაშგარე მდგომარეობა“

1. მოთამაშე ითვლება „თამაშგარე მდგომარეობაში“, თუ იგი მეტოქე გუნდის კარის ხაზთან ბურთზე უფრო ახლოსაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა) იმყოფება მინდვრის საკუთარ ნახევარზე;

ბ) იმყოფება მეტოქე გუნდის კარის ხაზთან, მაგრამ არა უფრო ახლოს, ვიდრე მოპირდაპირე გუნდის ორი ან მეტი მოთამაშე.

მე-3 პუნქტის ახალი ტექსტი:

3. მოთამაშე არ უნდა დაჯარიმდეს „თამაშგარე მდგომარეობაში“ ყოფნის მიზეზით, თუ იგი:

ა) იმყოფება პასიურ „თამაშგარე მდგომარეობაში;

ბ) ბურთს იღებს უშუალოდ კარიდან თავისუფალი დარტყმის, კუთხური დარტყმის ან გვერდითი ხაზიდან ხელით შემოგდებისას (აუტი).

კანონდება ახალი მითითება — 3.

3. მოთამაშე, რომელიც ერთ ხაზზე იმყოფება მეტოქე გუნდის მეორე ბოლო მოთამაშესთან, ან მეტოქე გუნდის ორ ბოლო მოთამაშესთან, არ ითვლება „თამაშგარე მდგომარეობაში“.

ამ ახალი მითითების ილუსტრაცია ნაჩვენებია მოყვანილ სქემებზე. „ა“ მოთამაშე ფლობს ბურთს. მის წინ იმყოფება მცველი „გ“. ამ შემთხვევაში „ა“ მოთამაშე ბურთს გადასცემს „ბ“ პარტნიორს, რომელიც არ უნდა ჩაითვალოს „თამაშგარე მდგომარეობაში“, ვინაიდან ბურთის გადაცემის მომენტში იგი არ იმყოფებოდა მეტოქის კართან უფრო ახლოს, ვიდრე მეტოქე მცველი „დ“. ისინი ერთ ხაზზე იყვნენ განლაგებული, გარდა ამისა, კარს იცავდა მეკარე „ე“ (სქემა № 1).



სქემა № 1

„ა“ მოთამაშე ფლობს ბურთს. მის წინაშეა მცველი „გ“. როცა „ა“ ფეხბურთელი ბურთს აწვდის „ბ“ პარტნიორს, ეს უკანასკნელი არ შეიძლება „თამაშგარე მდგომარეობაში“ ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ერთ ხაზზე იმყოფებოდა მეტოქის ორ— „დ“ და „ე“ — ფეხბურთელებთან ერთად (სქემა № 2).



სქემა № 2

საერთაშორისო საბჭომ დაამტკიცა სავალდებულო ინსტრუქცია, რომლის ღირსება კარგად გამოირკვა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე:

„თუ მოთამაშე უახლოვდება მეტოქის კარს და, მსაჯის აზრით, საშუალება აქვს გოლი გაიტანოს, მას კი, წინასწარი გაზრახვით, აკრძალული ხერხით, ე. ი. დარღვევის საშუალებით, წააქცევენ, რაც საჯარიმო, ან 11-მეტრიანი დარტყმით ისჯება, ამ შემთხვევაში შემტევის გუნდი კარგავს ბურთის გატანის ხაღდ შესაძლებლობას. დამრღვევის მოქმედება საჭიროა შეფასდეს როგორც სერიოზული დანაშაული, ამიტომაც XII პუნქტის შესაბამისად იგი მინდვრიდან უნდა გააძევონ“.

კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ, თუ აღნიშნულ შემთხვევაში ფეხბურთელი არ წაუქცევიათ და უბრალოდ შეაჩერეს არასწორი ილეთით (მაისურზე ან ტრუსებში ხელის ჩაგვება, ტანზე ხელის მოხვევა და ა. შ.), წესის დამრღვევს მსაჯმა აუცილებლად უნდა აჩვენოს არა ყვითელი, არამედ წითელი ბარათი.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ საერთაშორისო საბჭოს სარედაქციო კომიტეტის ორი რეკომენდაცია, რომლებიც მთლიანად მოიწონა ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტმა.

ა) ტრავმირებული მოთამაშეები.

მსაჯმა თამაშში მონაწილეობის ნება არ უნდა დართოს ფეხბურთელს, რომელსაც ძლიერი სისხლის დენა აქვს, იმ დრომდე, სანამ მას სისხლის დენა ან შეუწყდება.

ბ) მინდვრის დამატებითი დასაზულობა.

კარის ხაზების გარეთა მხარეს, კუთხური ალმებიდან 10 მეტრის დაშორებით, შეიძლება დაიხაზოს მცირე ზომის პერპენდიკულარული ხაზები, რაც მსაჯს დაეხმარება ზუსტად ადევნოს თვალი, სწორად დგანან თუ არა დაცვის მოთამაშეები კუთხური დარტყმის დროს.

სპეციალისტის კომენტარი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის თამაშის წესების კომიტეტის მიერ ხულ ახლახან შემუშავებულ რეკომენდაციებს ამჟამად მთელს მსოფლიოში ხავალდებულო მოქმედების ძალა აქვს. ის, რაც XIV მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაამტკიცა ფიფამ, ამიერიდან ყველგან განუხრელად უნდა შესრულდეს.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ ქართველ არბიტრს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს კარლო ურუაშვილს. ეს თავისებური გასაუბრებაა უშუალოდ ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან, ყველა დაინტერესებულ პირთან და ჩვენს მკითხველებთანაც, ვინაიდან ფეხბურთის მოყვარულები ხშირად მოგვმართავენ წერილობით ახალი წესების თაობაზე. გთავაზობთ კ. ურუაშვილის კომენტარს:

— **საერთაშორისო** სპორტულ წრეებში ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას, თითქოს ფეხბურთის დღევანდელი კოდექსი მეტისმეტად კონსერვატულია, ახალს არაფერს სთავაზობს საფეხბურთო სამყაროს, თითქოს, ფიფა-ს თამაშის წესების კომიტეტი, რომელშიც, როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის ქვეყნების წარმომადგენელი არიან გაერთიანებული, ჯიუტადაა ჩაბღაუჭებული ძველ კოდექსს და ცვლილებათა შეტანას მასში არ აპირებს, ამ დროს კი სპორტის სხვა სახეობებში წესები რეგულარულად იხვეწება, იცვლება და სადღეისო მოთხოვნათა დონეს შეესაბამება.

ეს მთლად სწორი არ არის. ფეხბურთის წესებში ბოლო ხანებში მთელი რიგი მნიშვნელოვანი, ფრიად სერიოზული ცვლილებები მოხდა, რომლებმაც სწორედ თანამედროვე მოთხოვნებს აუბეს მხარი,

მაგრამ წესების კომიტეტის თავისებურ კონსერვატულობასაც გარკვეული გამართლება და დასაბუთება აქვს. თუ სხვა სახეობებში წესები იცვლება, ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ კოდექსში სერიოზული ხარვეზები იყო და მათი აუცილებელი შეცვლის საჭიროება სწორედ ახალმა დრომ მოიტანა, ფეხბურთს რაც შეეხება, ჩემი აზრით, მისი წესები უაღრესად ლოგიკური, ბუნებრივი და გამართლებულია, ამიტომაც თითოეულ სიახლეს, თითოეულ შესაძლო ცვლილებას აქ საგანგებო გულისყურით მიდგომა ესაჭიროება. სწორედ ამიტომაც ყოველად მიუღებელია ის წინადადებები, რომლებითაც სიახლეთა მოყვარულნი ითხოვენ „თამაშგარე მდგომარეობის“ გაუქმებას, კარის ზომების გაფართოებას, საჯარიმო მოედნის გაუქმებას და ა. შ. არის ფეხბურთის მოყვარულთა ერთი ნაწილი, რომლის აზრითაც დღევანდელი ფეხბურთი „მოიძულწყებს“ გატანილი ბურთებით, თამაშები ნაკლებშედეგიანია, უკეთესი იქნებოდა, რომ გოლი, რომლის გულისთვისაც მაყურებელი მოდის სტადიონზე, ყოველ მატჩში უფრო ხშირად და უფრო მეტი გადიოდეს. სხვებისა არ ვიცი, პირადად მე კი სულაც არ მომწონს თამაშები, რომლებშიც ანგარიში ორნიშნა ციფრებით გამოიხატება. ავიღოთ, მაგალითად, „თამაშგარე მდგომარეობის“ წესი. ეს არის ფეხბურთის ერთ-ერთი ძირითადი არსი, მისი სული და გული, ამიტომაც ამ წესის გაუქმება უეჭველად გამოიწვევს გოლის გაუფასურებას, შექმნის იოლ სიტუაციებს. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის თამაშის წესების თითოეული პუნქტი მრავალი ათეული წლის მანძილზე ეხვეწებოდა, პრაქტიკაში გულდასმით მოწმდებოდა, ამ პუნქტებმა გაუძლეს ყოველნაირ კრიტიკას, ხანგრძლივ რევიზიას, ათასგვარ ვარიანტსა და სახესხვაობას და ეს იმიტომ, რომ ეს წესები ფეხბურთის არსიდან გამომდინარეობს. ყოველ სიახლეს, ყოველ ცვლილებას, რომელიც კი ფეხბურთში ხდება, საგულდაგულოდ ამოწმებენ, ცდიან უშუალოდ თამაშებში, ატარებენ მრავალნაირ ექსპერიმენტს, ითვალისწინებენ სხვადასხვა სიტუაციას და მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდებიან, რომ ესა თუ ის სიახლე ფეხბურთის არსს არ უპირისპირდება, არ არღვევს მის ლოგიკურ მთლიანობას, პირიქით, ხელს უწყობს თამაშის განვითარებას და სრულყოფას, უკვე ამის შემდეგ აკანონებენ მათ. ფეხბურთი — ფეხბურთია! ეს არაა არც რაგბი, არც ჰოკეი, არც კალათბურთი. ფეხბურთმა მხოლოდ თავისი სპეციფიკა უნდა შეინარჩუნოს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და შესაფერისი წესები უნდა იგუოს.

მაგალითად: ფეხბურთელის ეკიპირების ახალ პუნქტში გარკვევითაა ჩამოთვლილი ყველაფერი ის, რაც მოთამაშეს უნდა ეცვას. ახალი და ზედმეტი აქ არაფერია, მაგრამ, ეტყობა, ბევრ ქვეყანაში, ბევრ შეჯიბრებაში პუნქტუალურად არ იცავდნენ არსებულ წესებს, სავალდებულო მითითებებს, ამიტომაც საჭირო გახდა ზოგიერთი პუნქტის საგანგებო ხაზგასმა. ფეხბურთის სათამაშო აღჭურვილობა ტრადიციული და სავალდებულოა, ამიტომაც ფეხბურთელებმაც და მსაჯებმაც ეს მოთხოვნები ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეასრულონ. ყველამ იცის, რომ ფეხბურთელი მინდორზე აუცილებლად წვივსაფრებით უნდა გამოვიდეს. ეს დაკანონებულია, მაგრამ განა ყველა იცავს ამ წესს? ამის გამოა, რომ მოთამაშეები ხშირად ზიანდებიან, არის მძიმე ტრავმები. რამდენჯერ (გვინახავს მინდორზე გამოსული ფეხბურთელი ჩაჩაჩული გეტრებით, უწვივსაფროდ, ტრუსებზე გადმოშვებული მაისურით, ულაზათოდ ჩაცმული. ამიერიდან მსაჯებს დაევალათ მკაცრი კონტროლი გაუწიონ მოთამაშეთა აღჭურვილობას; უშნოდ ჩაცმული ფეხბურთელი, ჯერ ერთი, უსიამოვნო სანახავია, გარდა ამისა, ჩემი აზრით, ეს მაყურებლის გარკვეული უპატივცემულობაც გახლავთ.

არ შეიძლება ფეხბურთელმა თამაშის დროს იქონიოს ან ატაროს საგანი, რომელიც ხიფათს უქმნის სხვა მოთამაშეს. აკრძალულია თამაშირში ჩასმული ხელით თამაში, ბუცებს დაწესებულ ზომაზე გრძელი კოტები არ უნდა ჰქონდეს, არც ლურსმნის წვერი უნდა ჩანდეს ბუციდან, ვინაიდან ყველაფერი ეს საზიანოა სხვა მოთამაშეებისთვის.

პრინციპულად ახლებურად დაკანონდა „თამაშგარე მდგომარეობის“ განსაზღვრის წესი. ძველი წესით, თუ ბურთის ბოლო გადაცემის წინ შემტევი გუნდის ჭოთამაშე ერთ ხაზზე იმყოფებოდა მეტოქე მცველებთან ერთად, აღინიშნებოდა „თამაშგარე მდგომარეობა“. ახლა ეს მნიშვნელოვანი პრივილეგია მცველებს ჩამოერთვათ. როცა მოიერიშენი და მცველები ერთ ხაზზე იმყოფებიან, თამაში გრძელდება და თუ ამ სიტუაციაში ბურთი გავიდა, ცხადია, მსაჯი გოლს ჩათვლის. აქამდე არბიტრებს და გვერდით მსაჯებს, თავის დაზღვევის მიზნით, ერჩიათ „თამაშგარე მდგომარეობა“ აღენიშნათ იმ მოტივით, თითქოს თავდამსხმელი და მცველი ერთ ხაზზე იმყოფებოდნენ. ასე უფრო იოლი იყო. დაცვაზე მყოფი გუნდი ასეთ დროს ყოველთვის მოითხოვდა „თამაშგარე მდგომარეობის“ ფიქსაციას, საფეხბურთო ცხოვრებამ, სათამაშო პრაქტიკამ კი ნათლად დაადასტურა, რომ დაცვის ეს უპირატესობა უნდა გაუქმდეს. ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რომელი გუნდის რამდენი მოთამაშე იმყოფება ერთ ხაზზე. თუ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, თამაში შეუფერხებლად გაგრძელდება.

მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებაა ისიც, რომ, თუ მოიერიშე ფეხბურთელი იმყოფება აშკარა საგოლე პოზიციაში — უშუალოდ მეკარის პირისპირ ან ცარიელ კარის წინ — და მას ამ კრიტიკულ მომენტში უკნიდან ხელი ჩასჭიდეს, ან ფეხი გამოსდეს, დამნაშავე მოთამაშე მინდვრიდან უნდა გააძევონ.

რა არის აქ სიახლე? წინათ ასეთ შემთხვევებში დამრღვევს მხოლოდ აჯარიმებდნენ, თუ დარღვევა საჯარიმო მოედნის ფარგლებში მოხდებოდა, ინიშნებოდა 11-მეტრიანი, მაგრამ ასეთმა დარღვევებმა ისე იმატა, რომ საჭირო გახდა სასჯელის გამკაცრება. დამნაშავე მოთამაშე მარტო 11-მეტრიანით თავს ვეღარ გადაირჩენს, მას უკვე მინდვრიდან გაძევებაც ელის. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ფეხბურთელი იძულებული იქნება თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისგან. ახალი კანონი სავსებით სამართლიანია, იგი ცხოვრებამ მოიტანა. გარდა ამისა მარტოოდენ 11-მეტრიანის დანიშვნა საკმარისი არ არის, ვინაიდან შესაძლოა „დაზარალებულმა“ გუნდმა იგი ვერც გამოიყენოს.

ხშირად გვინახავს, როცა საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმების დროს დამცველი გუნდის რომელიმე ფეხბურთელი ბურთთან მეტისმეტად ახლოს დგას და მეტოქეს არ აძლევს დარტყმის საშუალებას იმ დრომდე, სანამ მისი გუნდის ყველა წევრი თავს არ მოიყრის საჭირო ადგილას, ჯედელს აღმართავს და ყველა გზას გადაკეტავს. მსაჯი ამ დროს იძულებულია 9 მეტრზე დაწიოს დამცველი გუნდის ფეხბურთელები, არის ჩოჩქოლი, მსაჯს გარს ეხვევიან, ხელს უშლიან თამაშის გაგრძელებაში. ამასობაში კი დრო გადის და საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა თავის უშუალო ეფექტს ჰკარგავს. ამიერიდან ასეთ შემთხვევაში მსაჯმა ყვითელი ბარათი უნდა აჩვენოს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც საჯარიმო დარტყმის გათამაშებას ხელს უშლიან. ესეც სავსებით ლოგიკური ცვლილებაა.

საჭირო შეიქნა ფეხბურთში მეტისმეტი, გადაპარბებული ემოციების წინააღმდეგ ბრძოლაც. წესად იქცა, როცა ფეხბურთელს ბურთი გააქვს, მას გარს შემოეხვევიან თანაგუნდელები, ზოგჯერ ძირსაც წააქცევენ, კოცნიან, ზედ ახტებიან, ხელებს უტყაპუნებენ და ეს ზედმეტი „ვნებათა ღელვანი“ დაუშვებელ ფორმებს იღებს. ზოგჯერ ბურთის გამტანი ფეხბურთელი მინდვრის გარეთაც გარბის, იჩოქებს, რაღაც რიტუალურ მოძრაობებს ასრულებს, ანდა სათამაშო მინდვრისა და ტრიბუნების გამყოფ მავთულის ბადეს ეკიდება და იწყება ნამდვილი საფეხბურთო „ორგია“.

ამგვარი ექსტაზის წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არაა. წარმოიდგინეთ იმ გუნდის მოთამაშეთა მდგომარეობაც, რომელთა კარში ბურთი გაიტანეს. ისინი დგანან და მოთმინებით ელიან, როდის „ინებებს“

მეტოქე თამაშის გაწახლებას. შესაძლოა გუნდმა ფურთი თამაშის მიწურულს გაიტანოს და ამ დაუსრულებელ ხვევნა-კოცნაში დროც განგგე გაიყვანოს; ემოციები გასაგებია, მაგრამ ეს გაუთავებელი ცერემონიალი გუნდმა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს, მსაჯი ვალდებულია დროზე განაახლოს თამაში.

ფეხბურთის თამაშს 17 ძირითადი წესი გააჩნია. თითოეული პუნქტი ყველამ ზუსტად უნდა დაიცვას — ფეხბურთელმაც და მსაჯმაც. ყოველ წესს ლოგიკური დასაბუთება აქვს, ამიტომ თამაშის ნორმალურად ჩასატარებლად მათი განხორციელება აუცილებელია.

საქართველოს თასზე

გაიმართა ფეხბურთში რესპუბლიკის თასის გათამაშების მეოთხედფინალისტთა წილისყრა. ამ ეტაპზე კლუბები ასე დაწყვილდნენ: „იბერია“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი), „გორდა“ (რუსთავი) — „ცხუმი“ (სოხუმი), „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ბათუმი“ (ბათუმი).

მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართება 5 სექტემბერს, განმეორებითი მატჩები — 19 სექტემბერს.

სპორტული სექტემბერი

2-8. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

5-10. ათლეტიზმი (ძალისმიერი სამჭიდი). რესპუბლიკური ტურნირი. **თბილისი.**

10-12. ხიმძიმეების აწევა. საქართველოს ჩემპიონატი. **წითელწყაროო.**

15-20. ფარიკაობა. საქართველოს თასის გათამაშება. **ქუთაისი.**

17-28. საგზაოკეცილო ველოსიპედოლა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლებში (ქალები). **თბილისი.**

18-23. ცხენოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი ეროვნულ სახეობებში. **წალენჯიხა.**

18-21. ბატუტზე ხტომა. საქართველოს ჩემპიონატი (X სპარტაკიადის პროგრამით). **თბილისი.**

19-23 წყალსათხილამურო სპორტი. საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება. **ფოთი.**

20-23. თავისუფალი ჭიდაობა. საკავშირო ტურნირი ვ. რუბაშვილის ხსოვნის პრიზზე. **გორი.**

20-23. ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი (X სპარტაკიადის პროგრამით) ქალები, **თელავი.**

22-26. წყალბურთი. საქართველოს თასის გათამაშება. ფინალი. **ბათუმი.**

25-30. მშვილდოსნობა. საქართველოს თასის გათამაშება (ქალები, ვაჟები, 1973 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი). **ბათუმი.**

26-30. ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები. **თბილისი.**

27-30. კლასიკური ჭიდაობა. საქართველოს X სპარტაკიადა (დასავლეთი ზონა). **ხამტრედია.**

27-30. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პრიმატურა. II ლიგა. I ლიგა. ს. ხაშმი. II ლიგა. **ამბროლაური.**

28-30. ველოსიპედური ნაკრებები. საქართველოს ჩემპიონატი (X სპარტაკიადის პროგრამით). **ფოთი.**

28.IX-1.X. ძალოსნობა. საქართველოს თასის გათამაშება მიძღვნილი გ. ჩიკვაიძის ხსოვნისადმი. **თელავი.**

ფეხბურთის ახალი ამბები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები 29 აგვისტოს მოსკოვში შეხვდა რუმინეთის ეროვნულ გუნდს. ეს იყო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. გამარჯვება მოიპოვეს სტუმრებმა — 2:1 (1:0). რუმინელთაგან ბურთები გაიტანეს ლეკეტუშმა (პენალტი) და ლუპესკუმ, ხოლო მასპინძელთაგან — მიხაილიჩენკომ.

ეს ორი გუნდი სულ ახლახან მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალურ მატჩში შეხვდა ერთმანეთს იტალიის ქალაქ ბარიში. როგორც გახსოვთ, თამაში მოიგეს რუმინელებმა — 2:0. ახლა საბჭოთა გუნდი საგრძნობლად განახლებული შემადგენლობით გამოვიდა, მას მთავარი მწვრთნელიც ახალი ჰყავს. მაგრამ ამ განახლებულმა კოლექტივმაც ერთობ უფერულად ითამაშა და კვლავ მარცხი იწვნია. აღსანიშნავია ისიც, რომ, რუმინელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ — გეორგე კონსტანტინი, ნაკრების შემადგენლობაში კი მხოლოდ ორი დებიუტანტი თამაშობდა.

ეჭვი არაა, საბჭოთა ნაკრები კვლავ მძიმე კრიზისის პერიოდშია. გუნდს მრავალი პრობლემა აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი შემტევ მოთამაშეთა სუსტი თამაშია, მოგვარებული არაა კოლექტიური ურთიერთმოქმედებაც. რგოლებს შორის. სულ მალე, 12 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი უნდა გამართოს ნორვეგიის გუნდთან მოსკოვში.

სსრ კავშირის ნაკრებმა რუმინელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ერიომინი, ჩერნიშოვი, კულკოვი, ო. კუზნეცოვი (შალიმოვი), დოლგოვი, ბროშინი (კოლივანოვი), ტატარჩუკი (ტიშჩენკო), კანჩელსკისი, მიხაილიჩენკო, პროტასოვი (შმაროვი), დობროვოლსკი.

ლისაბონი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდსა და პორტუგალიის ნაკრებს შორის. ორივე გუნდს ახალი მწვრთნელები ჰყავს: გერმანელებს — ბერტი ფოგთსი, ხოლო პორტუგალიელებს — არტურ ხორხე. მე-14 წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები (ლოთარ მათეუსი), შესვენების შემდეგ პორტუგალიელმა რუი აგუასმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ფინელმა ფეხბურთელებმა უმასპინძლეს ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციის ნაკრებს. მასპინძლები 39-ე წუთზე დაწინაურდნენ (პეტრი იარვინენი), 57-ე წუთზე საპასუხო გოლი გაიტანა პაველ კუკამ.

ჰააგა. ჰოლანდიის ნაკრების უფროს მწვრთნელად კვლავ დანიშნეს 62 წლის რინუს მიჰელსი, რომელმაც ამ პოსტზე ლეო ბენჰაკერი შეცვალა. ლ. ბენჰაკერმა ვერ გაამართლა ჰოლანდიის საფეხბურთო წრეების იმედი განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე„ ხოლო რ. მიჰელსი უკვე მესამედ უდგება სათავეში ეროვნულ გუნდს და მისი მიღწევები საკმაოდაა ცრობილი: 1974 წელს რ. მიჰელსმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა თავისი გუნდი და მეორე ადგილი დაიკავა,. 1988 წელს კი ჰოლანდიელები ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

რ. მიჰელსის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჰოლანდიელები 17 ოქტომბერს გამართავენ სტუმრად. გაზეთები იუწყებიან, რომ ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ფრანკ რაიკარდი ეროვნულ გუნდში თამაშს აღარ აპირებს.

ბუენოს-აირესი. „ლიბერტადორესის თასის“ გათამაშებაში, სადაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონები მონაწილეობენ, ნახევარფინალში 5 და 12 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან „ატლეტიკო ნასიონალი“ (კოლუმბია) და „ოლიმპია“ (პარაგვაი), აგრეთვე, „რივერ პლეიტი“ (არგენტინა) — „ბარსელონა“ (ეკვადორი).

ამ ფრიად პრესტიჟულ თასს ამჟამად ფლობს „ატლეტიკო ნასიონალი“, რომელშიც თამაშობს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი მეკარე რენე იგიტა.

ბოლონია. იტალიის ამ ქალაქში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ურუგვაის „პენიაროლი“ და ჰოლანდიის „ფეიენოორდი“. გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 3:2. მატჩი მესამე ადგილისთვის იტალიის გუნდებს „ბოლონიასა“ და „ჩეზენას“ შორის დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებითი პენალტების სერიაში წარმატება მოიპოვა „ჩეზენამ“ — 4:3.

ვენა. ავსტრიის ნაკრებმა თავის მინდორზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგო შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან — 1:3.

ტრომსე. ნორვეგიის ამ ქალაქში ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და შვეიცის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ჩემპიონი და პრეტენდენტები

პროფესიული კრივის სამყაროში უმთავრესი ყოველთვის გახლდათ ბრძოლა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად მძიმე წონის მოკრივეთა შორის.

გავეცნოთ მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონისა და მისი უახლოესი მეტოქეების „სადარბაზო ბარათებს“ — უეჭველია, ახლო მომავალში პირველობისათვის სწორედ ისინი იბრძოლებენ.

ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასი. მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი. დაიბადა 1960 წლის 7 აპრილს, კოლუმბუსში (აშშ), 193 სმ სიმაღლის, პროფესიულ რინგზე გამართა 35 მატჩი, მოიგო 30 (20 — ნოკაუტით), 4 წააგო, 1 ფრედ დაამთავრა.

ევანდერ ჰოლიფილდი. ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტი. დაიბადა 1962 წლის 19 ოქტომბერს, 185 სმ. როგორც მოყვარულმა, ჩაატარა 174 მატჩი და 160 მოიგო. 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პროფესიონალებში გამართა 24 მატჩი და ყველა მოიგო (20— ნოკაუტით).

მაიკ ტაისონი. მსოფლიოს ექსჩემპიონი. დაიბადა 1966 წლის 20 ივნისს, ბრუკლინში, 180 სმ. მოყვარულთა შორის ტაისონმა 54 შეხვედრიდან 48 მოიგო. პროფესიულ რინგზე ჩატარებულ 37 მატჩში ზედიზედ მოიგო 35, შემდეგ დამარცხდა მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონ დუგლასთან, ამას წინათ კი კვლავ გაიმარჯვა. მან 37 მატჩიდან 33 ნოკაუტით მოიგო.

დონოვან რაზო�კი. დაიბადა 1963 წლის 21 დეკემბერს. იამაიკელმა კანადის მოქალაქეობა მიიღო. პროფესიულ რინგზე 26 ბრძოლიდან 24 მოიგო (16 ნოკაუტით), 1 წააგო, 1 ფრედ დაამთავრა.

ჯორჯ ფორმენი. დაიბადა 1948 წლის 22 იანვარს, ტეხასის შტატის ქ. მარშალში, 191 სმ. ოლიმპიური ჩემპიონია მძიმე წონაში (1968 წ). პროფესიულ რინგზე გამართა 70 მატჩი, 68 მოიგო (62 ნოკაუტით) და 2 წააგო.

ბარი მეისონი. დაიბადა 1962 წლის 2 თებერვალს. წარმოშობით იამაიკელია, ახლა ინგლისის მოქალაქეა. 187 სმ. პროფესიულ რინგზე გამართა 36 მატჩი. 35 მოიგო (33 ნოკაუტით), 1 წააგო.

ალეს სტიუარტი. დაიბადა 1964 წლის 28 ივნისს, ლონდონში, იამაიკელია, გახდა აშშ-ის მოქალაქე. 185 სმ. მონაწილეობდა 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში (ლოს-ანჯელესში). როგორც პროფესიონალმა, 27 მატჩიდან მოიგო 26 (25 ნოკაუტით) და 1 წააგო. მალე ტაისონს უნდა შეხვდეს.

ტიმ უინტერსპოონი. დაიბადა 1957 წლის 27 დეკემბერს ფილადელფიაში. 190 სმ. პროფესიულ რინგზე გამართა 36 მატჩი, 33 მოიგო (22 ნოკაუტით), 3 წააგო. საყურადღებოა, რომ როგორც მოყვარულმა, სულ 7 მატჩი გამართა, აქედან 6 მოიგო და 1 ფრედ დაამთავრა.

მაიკლ დოქსი. დაიბადა 1958 წლის 10 აგვისტოს. 1975 წლის აშშ-ის ჩემპიონი მოყვარულთა შორის. ამავე წელს პანამერიკული თამაშების მოკრივეთა ტურნირის ფინალურ მატჩში წააგო თეოფილო სტივენსონთან. როგორც პროფესიონალმა 46 მატჩიდან მოიგო 41 (27 ნოკაუტით), 3 წააგო, 2 ფრედ დაასრულა.

კარლ უილიამსი. დაიბადა 1959 წლის 1 ნოემბერს, 193 სმ. სამოყვარულო რინგზე არ დამარცხებულა, მოიგო 22 შეხვედრა და 1 ფრედ დაასრულა. პროფესიონალებში მოიგო 23 მატჩი (18 ნოკაუტით) და წააგო 3.

ფრანჩესკო დამიანი. დაიბადა 1958 წლის 4 ოქტომბერს, 193 სმ. კარგა ხანს მოყვარულებს შორის გამოდიოდა. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოუგო სტივენსონს, მაგრამ ფინალურ მატჩში დამარცხდა ბიგსთან (აშშ). პროფესიონალთა რინგზე დაუმარცხებლად იბრძვის — 25 ბრძოლა მოიგო (21 ნოკაუტით). მალე ფორმენს შეხვდება.

ტონი ტაკერი. დაიბადა 1958 წლის 28 დეკემბერს. 193 სმ. როგორც მოყვარულმა გამართა 121 შეხვედრა, 115 მოიგო და 6 წააგო. პროფესიულ რინგზე მოიგო 38 მატჩი (33 ნოკაუტით) და 1 წააგო.

ინგლისელების დახმარება

მსოფლიო პირველობაზე აფრიკელთა ნაკრებების წარმატებით გამოსვლამ ინტერესი ამ კონტინენტის ფეხბურთისადმი მნიშვნელოვნად გაზარდა. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა დახმარება აღმოუჩინოს სუდანს და ამ ქვეყანაში საფეხბურთო სკოლის დაარსებას აპირებს. ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლას სათავეში ჩაუდგება ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი ტომი ტრინტერი. აქამდე იგი დასავლეთ ლონდონის ინსტიტუტში ფეხბურთის თეორიას ასწავლიდა, ადრე კი მწვრთნელად მუშაობდა სხვადასხვა აფრიკულ ქვეყნებში.

საერთო ჩემპიონატი. ერთიანი ნაკრები

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა გეგმა ორივე გერმანული სახელმწიფოს ფეხბურთელთა ორგანიზაციების შერწყმის შესახებ. უკვე 1991 წელს ყველა კლუბი საერთო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. 1992 წელს ევროპის პირველობაზე და ბარსელონის ოლიმპიურ ტურნირზე ერთიანი ნაკრები ითამაშებს.

„ვასკო და გამა“ — ჩემპიონი

„ვასკო და გამას“ ფეხბურთელები რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონები გახდნენ. ამ პირველობის ბოლო მატჩში („მარაკანას“ სტადიონზე) „ბოტაფოგოს“ წინააღმდეგ 90 წუთის შემდეგ ისინი წინ იყვნენ ანგარიშით — 1:0. ამით ისინი დაეწივნენ „ბოტაფოგოს“. ასეთ შემთხვევაში, ახალი დებულების თანახმად, უნდა დანიშნულიყო კიდევ 30 წუთი. „ბოტაფოგოს“ ხელმძღვანელებმა, რომლებმაც არ მიიღეს ეს ახალი დებულება, თავიანთი მოთამაშეები მინდვრიდან გაიყვანეს და წაგება ჩაეთვალათ.

„ვასკო და გამას“ ჩემპიონის წოდება მიენიჭა, „ბოტაფოგოს“ კი, სანამ ახალ დებულებას არ აღიარებს, ყოველგვარ ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა აეკრძალა.

„რენდვიქიდან“ — „ამპტორი მილანოში“

სიდნეიში ახალი სამხრეთ უელსის შტატისა და ავსტრალიის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „რენდვიქმა“ უმასპინძლა ინგლისის ამჟამინდელ ჩემპიონს, ქალაქ ბასის გუნდს და გაიმარჯვა — 20:3. მასპინძელთაგან ერთი ლელო გაიტანა სახელგანთქმულმა მარქ ელამ, რომელმაც ამ თამაშით დაასრულა კიდეც მორაგბის კარიერა.

მარქ ელა იყო პირველი ავსტრალიელი აბორიგენი, ვინც ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებ „ვოლაბიში“ მოხვდა. შემდეგ მის კვალს ძმები— გერი და მაიქიც დაადგნენ, ოღონდაც, — ნაკლები წარმატებით. აი, მარქმა კი 80- იანი წლების შუახანებისათვის მსოფლიოს უძლიერესი გარე ნახევარმცველის სახელი დაიგდო, ნაკრებში 25-ჯერ ითამაშა, 1984 წლის შემოდგომაზე კი უმაგალითო რამ შეძლო: დიდ ბრიტანეთში „ვოლაბის“ 18-მატჩიანი ტრიუმფალური ტურნეს დროს ოთხივე ტესტში გაიტანა თითო ლელო, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ავსტრალიელთა მიერ „დიდი სლემის“ მოპოვებაში; იმ ტურნეში ხომ სტუმრებმა ოთხივე ბრიტანული ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებს სძლიეს: ინგლისს 19:3 მოუგეს,

ირლანდიას — 16:9, უელსს —28:9, შოტლანდიას კი — 37:12.

შინ დაბრუნებისთანავე 26 წლის „ვარსკვლავმა“, ერთი პირობა, ვითომც პროფესიულ, ცამეტკაციან რაგბიში დააპირა გადასვლა, მაგრამ მალე სრულიად მოულოდნელად დაანება თამაშს თავი და პოლიტიკურ მოღვაწეობას მოჰკიდა ხელი — აბორიგენების უფლებებისათვის დაიწყო ბრძოლა. ამ მიზნით ავსტრალიის მკვიდრთაგან კრიკეტის გუნდიც კი შეადგინა და მას დიდ ბრიტანეთში ტურნეზე ჩაუძღვა. და მაინც, ელას იმ ხანებში არც რაგბი დავიწყებია: 1987 წელს მსოფლიო თასის პირველ გათამაშებას ეროვნული ტელევიზიით მიმოიხილავდა, ერთ-ერთ „ჰონკონგის შვიდკაცაში“ კი ავსტრალიის ყოფილი სამეურვეო ტერიტორიის, ამჟამად — დამოუკიდებელი ქვეყნის, პაპუა ახალი გვინეის ნაკრებს წვრთნიდა. მერე იყო და, შარშან, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, 30 წლის ელა რაგბის მოთამაშედ დაუბრუნდა, მაგრამ ფორმა იმდენად ვერ აღიდგინა, „ვოლაბიში“ მის ადგილზე „მოკალათებულ“ მაიქლ ლინაფისთვის რომ ეჯობნა. არადა, უწინ, როცა ელა ნაკრების 10 ნომერი იყო, ლაინაფი პირველ შუამარბად (12 ნომრად) თამაშობდა.

და აი, ახლა ელამ მეორედაც დაანება თავი თამაშს და მალე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად იტალიაში გადავა, სადაც მილანის კლუბ „ამატორის“ (ე. ი. მოყვარულების) მწვრთნელადაა მიწვეული. ერთი სიტყვით, ამიერიდან ელაც იმ ავსტრალიელ, ახალზელანდიელ და სამხრეთაფრიკელ მორაგბეთა შორის იტრიალებს, შემოდგომიდან. გაზაფხულამდე რაგბის სათამაშოდ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს, მეტადრე კი — იტალიას რომ მიაშურებენ და იქაური კლუბების გულუხვ მეურვეთა შემწეობით დროებით სამუშაოზეც იოლად რომ ეწყობიან ხოლმე. რას იზამ, ასეთია სამოყვარულო რაგბის კანონები!

(სპ. ინფ).

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 886000,
თბილისი, ქ. კოტეიას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივანი — 98-97-42,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54,
„შერანი“ — 98-97-26, „ხიმინჯი“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 886000, თბილისი, ქ. კოტეიას ქ. 14,
ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხაშურაულის, 20.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გასამხედროებული სამსახური მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამსახურის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, რადიოსპორტში აზიის ქვეყნების სამეგზის და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი

კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე ირემაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის „მართვეს“ კალათბურთელთა გუნდი იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა რესპუბლიკის ჩემპიონი და საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი.

შოთიკო (ილიჩა) მირუაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.